

შპს ზოოტოპია

სარჩევი

2024 წლის 31 დეკემბერი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება/საქმიანობის შედეგები	2-3
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	4-9

შპს ზოოტოპია

ფინანსური მდგომარეობა			
	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფინანსური მდგომარეობა			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	30 824	10 283	15 748
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	113 173	139 407	174 552
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	629 200	542 905	252 598
მარაგები	128 385	124 350	168 287
მზა პროდუქცია	-	-	-
სხვა	128 385	124 350	168 287
საინვესტიციო ქონება	-	-	-
სხვა მოკლევადიანი აქტივები	84 393	-	-
ბიოლოგიური აქტივები	-	-	-
თვითღირებულების მოდელით	-	-	-
გადაფასების მოდელით	-	-	-
გუდვილი	-	-	-
სხვა არამატერიალური აქტივები	-	-	-
ძირითადი საშუალებები	-	-	-
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	940 638	744 254	202 211
სულ აქტივები	1 926 613	1 561 199	813 396
ვალდებულებები			
საოჯგრო ვალდებულება	-	-	-
სავაჭრო ვალდებულებები	42 332	77 706	-
ანარიცხები	-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	2 642	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
გამოუქმავებელი შემოსავალი	-	-	-
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	158 252	471 224	14 601
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	553 989	-	-
მიღებული გრანტები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	18 882	-	-
სულ ვალდებულებები	776 097	548 930	14 601
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', საემისიო შემოსავალი	46 320	126 985	126 985
გამოსყიდული საკუთარი აქციები	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1 104 196	885 284	671 810
გადაფასების რეზერვი	-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი	1 150 516	1 012 269	798 795
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1 926 613	1 561 199	813 396
სულ მოკლევადიანი აქტივები	854 702	692 595	422 898
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	224 219	548 930	14 601
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	-	-	-

შპს ზოოტოპია

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	1 450 605	1 349 685
საქონლის გაყიდვიდან	-	-
მომსახურების გაწევიდან	1 450 605	1 349 685
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	-	-
სხვა	-	-
გაყიდვების თვითღირებულება	-	-
საწყისი მარაგები	-	-
მარაგების შესყიდვა	-	-
გადამუშავების დანახარჯები	-	-
საბოლოო მარაგები	-	-
საერთო მოგება	1 450 605	1 349 685
სხვა საოპერაციო შემოსავალი	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	- 555 404	- 434 209
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	- 21 170	- 7 979
საპროცენტო შემოსავალი	-	-
საპროცენტო ხარჯი	- 45 840	- 13 502
იჯარის ხარჯი	- 322 991	- 261 487
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	- 241 521	- 419 034
სულ საოპერაციო ხარჯები	- 1 186 926	- 1 136 211
საოპერაციო მოგება	263 679	213 474
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	-	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით გაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	5 219	-
მიღებული დივიდენდები	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	- 49 986	-
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციიდან	218 912	213 474
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	218 912	213 474
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-	-
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)	-	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	218 912	213 474
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1 012 269	798 795
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')	-	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	- 80 665	-
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-	-
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-	-
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 150 516	1 012 269
კვლევისა და განვითარების ხარჯები	-	-

შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს ზოოტოპია (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2016 წლის 19 მაისს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის კომპანიის მეწილეები არიან:

მესაკუთრე	წილი
შოთა კერესელიძე	100%

კომპანია წარმოადგენს ბოტანიკური ბაღების, ზოოლოგიური პარკების და ბუნებრივი ნაკრძალების საქმიანობების განმახორციელებელს. მდებარეობს თბილისში. ფაქტიური მისამართი: თბილისი აღმაშენებლის ხეივანი, მე-16 კმ.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ამბროლაური, ს. სადმელი

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

31 დეკემბერი 2024

1 აშშდოლარი/ ლარი	2.8068
1 ევრო/ლარი	2.9306

1. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ მსს ფასს-ის პირველად გამოყენების თარიღი არის 2017 წლის 1 იანვარი. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული სარეგომენდაციო მითითების მიხედვით „მესამე კატეგორიის საწარმოებისთვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისთვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის მსს ფასს სტანდარტის პირველად

გამოყენებასთან დაკავშირებით“ და კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს კომპანია არ წარდგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს, გაწევს მომსახურებას და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკა შეესაბამება მსს ფასს სტანდარტის შესაბამისად დადგენილ პრინციპებს და ნორმებს. სააღრიცხვო პოლიტიკის ცნებები გამოყენებულია ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისათვის.

ფული და ფულის ქვივალენტები

ფული და ფულის ქვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება კომპანიის მიმდინარე ხარჯში. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების აღდგენა ან ჩანაცვლებასთან დაკავშირებით კაპიტალიზირდება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა.

ბიოლოგიური აქტივები შეფასებულია რეალური ღირებულებით, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით;

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია ფლობს მიწას, შენობა-ნაგებობას, დანადგარებს, ტრანსპორტს და ინვენტარს. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი ნაშთის მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის და მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

იჯარა

კომპანია გააჩნია იჯარით აღებული ფართი აღმაშენებლის ხეივანი მე-16 კმ., ასევე იჯარით გასცემს სოფელ ნატახტარში არსებულ ფართს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესამაბისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

4. ძირითადი საშუალებები

ანგარიში	დასახელება	ნაშთი პერიოდის		ბრუნვა პერიოდის		ნაშთი პერიოდის	
		დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
2000	გრძელვადიანი აქტივები	731401		230406	21170	940638	
2100	ძირითადი საშუალებები	826383		230406		1056789	
2110	მიწის ნაკვეთები	88690				88690	
2120	დაუმთავრებელი მშენებლობა	290158		198370		488528	
2140	ოჯარით აღებული ქონების კუთვლილობა	53572				53572	
2150	მანქანა-დანადგარები	2753		1238		3991	
2160	ოფისის აღჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	17181		12123		29304	
2165	ბიო აქტივები	155403		12015		167418	
2166	ბუნებრივი ქვები	19551				19551	
2170	ავეჯი და სხვა ინვენტარი	101427		2661		104088	
2180	სატრანსპორტო საშუალება	97647		4000		101647	
2200	ძირითადი საშუალებების ცვეთა		94982		19841		114822
2240	ოჯარით აღებული ფართის კუთვლილობის ცვეთა		29891				29891
2250	მანქანა-დანადგარების ცვეთა		2753		117		2871
2260	ოფისის აღჭურვილობის ცვეთა		17000		913		17913
2270	ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა		30188		7265		37453
2280	სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა		15149		11546		26694

5. სასაქონლო მატერიალური მარაგი

ანგარიში	დასახელება	ნაშთი პერიოდის		ბრუნვა პერიოდის		ნაშთი პერიოდის	
		დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
1600	სასაქონლო-მატერიალური მარაგი	123852		18034	13500	128385	
1610	საქონელი	122885		5154	340	127700	
1620	მასალა და ნედლეული	883		12380	12676	587	
1690	დამატებითი ხარჯები	84		499	485	99	
1690.01	ტრანსპორტირების ხარჯი (გადაზიდვა)	84		499	485	99	

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ანგარიში	დასახელება	ნაშთი პერიოდის		ბრუნვა პერიოდის		ნაშთი პერიოდის	
		დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
1100	ნაღდი ფული სალაროში	2387		629869	616258	15998	
1200	ფული საბანკო ანგარიშებზე	7873		3136468	3129515	14826	

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ანგარიში	დასახელება	ნაშთი პერიოდის		ბრუნვა პერიოდის	
		დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
7000	საოპერაციო ხარჯები			1200870	
7100	რეალიზებული პროდუქციის			37502	
7200	რეალიზებული საქონლის			13016	
7300	მიწოდების ხარჯები			9267	
7400	საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები			1141086	
7410	შრომის ანაზღაურება			544526	
7411	საპენსიო შენატანის ხარჯის ანგარიში			10878	
7420	იჯარის ხარჯი			322991	
7430	კომუნალური მომსახურებისა და			199686	
7450	ძირითადი საშუალებების ცვეთა			21170	
7460	ძირითადი საშუალებების ექსპლუატაციის			10975	
7470	მივლინების ხარჯები			3368	
7480	სხვა საერთო ხარჯები			25674	
7499	სხვა ადმინისტრაციული ხარჯები			1819	

8. არასაოპერაციო შემოსავლები

2024 წელს კომპანია პერიოდულად აწარმოებდა ინვენტარიზაციას, რის შედეგადაც ზედმეტად აღმოჩენილი სასაქონლო-მატერიალური მარაგი არასაოპერაციო შემოსავალში იქნება აღებული. ასევე არასაოპერაციო შემოსავლებში და ხარჯებში ასახულია საპროცენტო ხარჯები და მოგება/ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან.

9. პირობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

10. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

კომპანიის დირექტორი შ.კერესელიძე